წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — შაბათი, 23 იანვარი 1916 წ. — № 17

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 50 კაპ., მეორეზე 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1916 წ. წელიწადი მეორე

„საქართველო“

1916 წ. წელიწადი მეორე

უპრემიოდ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მოწერათათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები:

1) **სალიტერატურო კრებული „მერანი“** გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) **საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მგზავსი“** წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) **საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.**

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუკა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გაგზავნა და ხელის ხელმოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, ხოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) **და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.**

პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

მიიღება ხელის მოწერა — მიიღება ხელის მოწერა

ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება:

ქუთაისში: 1) **თომა მთავრიშვილის** წიგნის მაღაზიაში, 2) **კ. ოცხელის** წიგნის მაღაზიაში, 3) **ი. კვიცარიძის** მაღაზიაში.

ბათუმში: წიგნის მაღაზია „ცოდნაში“

თბილისში: ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში **ვასილ ედილაშვილთან.** „Новая Рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში **ივანე კიკნაძესთან. სოსო ივანიძესთან.** ხარფუხის კლუბის მამასახლის **ალექ. ლორთქიფანიძესთან** და სასტუმრო **„უნივერსალში“.** წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ში **ს. მერკვილაძესთან.**

თელავში: **ბ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან** და **კ. ონიკაშვილთან.**

სიღნაღში: ნიკო ახმეტელაშვილთან.

ლაგოდეხში: ფორე ზედელაშვილთან

ძველ ქიზიყში: ფიფო ალადაშვილთან.

ზუგდიდში: კატო კედიასთან.

მოსკოვში: გრიგოლ ვეშაპელთან.

გორში: ალექსანდრე რომანიშვილთან.

ხაშურში: ტრიფონ ჯაფარიძესთან.

ჭკადუაში: კალისტრატე ალშიბაიასთან.

დუშეთში: მღ. კონსტ. კავკასიძესთან.

ს. ფშავში: ევგ. დალაქიშვილთან.

ს. შილდაში: ვასილ კევლიშვილთან.

ს. ენისელში: ალ. ჯორჯაძესთან.

კახში: ზაქარია ედილაშვილთან.

მაჩხაანში: ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.

ახალი კლუბი

კვირას, 24 იანვარს 1916 წ.

ახალ კლუბის დარბაზში გაიმართება

დიდი საღამო

ქართულ საქველმოქმედო საზ. ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: მგოსნები, მსახიობნი, ქართული ხორო მ. კავსაძისა, გურული ხორო ეროვნულ ტანისამოსში, სიმებიანი ორკესტრი, საზანდარი და სხვა. დაწვრილებით პროგრამაში.

ბილეთები გაიყიდება: ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების კანცელარიაში, (თავ.-აზნაურობის ქარვასლაში), ახალ კლუბის კასაში და „ძმური ნუგეში“-ს საჩაიეში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

საღამოს გამგე **კნ. ელ. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.**

(2—36—1)

ისადილეთ გემრიელად! — ისადილეთ გემრიელად!

ძველ სემინარიის შენოგაში სასტუმრო

„ოსტერია“

უმასპინძლდება გემრიელ სადილებით და ვახშმებით

სამზარეულო ყოველ ჟამს ამზადებს **ევროპიულ** და **კავკასიურ**

სადილ ვახშმებს

მწვადები ყოველგვარი. საციური, ხარშო იმერული

საუცხოოდ და სუფთად მორთული **კაბინეტები**

გილიარდები, ნარდი

(წ.—35—1) პატივისცემით { ი. ს. აბაშიძე, ვ. ა. თოფურიძე

ივახშმეთ გემრიელად! — ივახშმეთ გემრიელად!

პირველი წელი — **პირველი წელი**

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თებათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

სახალხო სახლი

კვირას, 24 იანვარს, დღის 1 საათზე გაიმართება დილა

ვაჟა-ფშაველა და მისი პოეზია

წაიკითხავს **დ. კასრაძე.**

II—**გეურქ-აღა და შანტაჟისტები.** იუმორისტ. პოემა.

III—**ლექსები, სცენები და შარჟი.**

ფასები 4 კ. 50 კაპ.

დაწვრილებით იხილეთ აფიშებში.

გამგე **ბ. ბეგლარიძე.**

ექიმი

მ. დ. ნინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის მე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ომის ამბები

ომის დეპეშები

21 იანვარი.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ბაბიტის ტბის და მიტავის შარაგზის შუა რუსთა რაზმები შეიჭრნენ გერმანელთა მავთულიან ღობეებში რათა პოზიციებზე მომქმედ მუშებისთვის ხელი შეეშალათ მუშაობაში. რიგას სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსთა ჯავშნიანი ავტომობილი თხრილების წინ გავიდა და სროლა აუტეხა გერმანელთ, იმათაც სასტიკი პასუხი მისცეს, მაგრამ ავტომობილი მაინც უვნებლად დაბრუნდა. გალიციაში, ეზერნის სადგურთან, რუსთა რაზმები მარჯვედ მოქმედებდნენ. მოსპეს რა მავთულიანი ღობე, რუსებმა მამაცურად აიღეს სანგარი, სანგრის გარნიზონი გაიქცა, მაგრამ რუსები კარგახანს არ ასვენებდნენ და სროლით ფეხ და ფეხ მისდევდნენ მათ. ეზერნის სადგურის სამხრეთით მთელ დღის განმავლობაში გუშინ საარტილერიო სროლა იყო გაჩაღებული. ხმარობდნენ როგორც მძიმე, ისე სუბუქ არტილერიას. სტრიპის შუა მდინარეობაზე რუსთა არტილერიამ ჩამოაგდო მტრის ჰაეროპლანი, რომელიც მტრის ბანაკში ჩაეშვა ნოვო—ზელენის რაიონში. დნესტრზე და პრუტზე გერმანელები ისვროდნენ მძიმე არტილერიიდან, სხუათა შორის, 12 დიუმიან ზარბაზნებიდან, ამ ზარბაზნის ცეცხლით რა გაიმაგრეს ზურგი, შეეცადნენ რუსებისაკენ გამოლაშქრებას უსეჩკოს რაიონში, მაგრამ ორჯელვე უკუგდებულ იქმნენ.

კავკასიის ფრონტი. რუსთა წინსვლა ბეჯითად ხდება. ერთგან აღმოაჩინეს 293 გაყინული ასკერის გვამი. დევნის დროს რუსებმა ოსმალთ წაართვეს კიდევ რამდენიმე ასი სული საქონელი.

პოპენჰაგენი, 20 იანვარი. იტყობინებიან, ვითომც მთაშაველთა გენერალი ბეცირი, რომელმაც ხელი მოაწერა მთაშავეთის კაპიტულიაციაზე, მთაშაველთა მიერვე მოკლული იქმნაო.

გასულ კვირას ბერნევეზენთან გერმანელთა ყუმბარის ნატეხები გადაცვივდა შვეიცარიელთა ტერიტორიაზე, გერმანელთა კამანდირი სწრაფად გამოცხადდა შვეიცარიის საზღვარზე და ბოდიში მოიხადა. ინცინდენტმა მშვიდობიანად ჩაიარა.

ქოპენჰაგენი, 20 იანვარი. შვეიცარიაში 16—60 წლამდინ, ვისაც კი უვარჯიშნია თოფის სროლაში, გამოსცდიან სროლაში. ნაბრძანებია ყველამ თავისი იარაღი გამოაჩინოს. ვინც ბრძანებას არ აასრულებს, დაისჯება სამხედრო წესის თანახმად.

ლონდონი, 21 იანვარი. გენერალი ხეგი იტყობინება: გუშინ საღამოს ერთმა ჩვენმა დარაჯთაგანმა მოსპო მტრის მცველები და ყუმბარები დაუშინა მათს სადგომსაო. დილის 11 საათზე და 50 წუთზე მტერი შეეცადა მოულოდნელად დასცემოდნენ ჩვენს სანგრებს იპრ-პილკონის გზასთან, მაგრამ იერიში მოგერიებულ იქმნა.

პარიზი, 21 იანვარი. არტუაში საღამო ბრძოლას განაგრძობენ ლილის გზის მახლობლად. ჩვენი არტილერიით გამოვიწვიეთ სამი აფეთქება ვიმის რაიონში. ბერიო-ო-ბაკის ჩრდილოდასავლეთით ჩვენ მოულოდნელად სროლა აუტეხეთ გერმანელთა რაზმებს. შამპანში, სუენის ჩრდილოეთით, მტრის საველე სიმაგრეებს ვესვროდით. ლოტარინგიაში „425“ მწვერვალთან ავაფეთქეთ მტრის ბლოკჰაუზი. დანარჩენს ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

დასავლეთი ფრონტი. ღამით 20 იანვარს „ცეპელინმა“ რამდენიმე ყუმბარა ჩანოაგდო სოლუნის თავზე. ორი ყუმბარა ჩამოვარდა ბერძენთა საპრეფექტო შენობის თავზე, მესამე სალონიკის ბანკის კასაზე, რაიც უმალვე დაიწვა, დახარჩენ ყუმბარებმა მცირე ნივთიერი ზარალი მიაყენეს. მცხოვრებთა შორის იმსხვერპლეს 11 კაცი, 16 დაჭრილია. სამხედრო პირიდგან მოკლულია 2, დაჭრილია 1. მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ ტოპსინისა და ვერრიას შუა, სოლუნის დასავლეთით. კაპიტანი და ფელდფებელი ტყვედ წამოყვანილ იქმნენ.

ჰავრი, 20 იანვარი. დღე და ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, გარდა დიქსმიუდეს რაიონისა, სადაც სასტიკი საარტილერიო სროლა იყო.

დელი, 20 იანვარი: გენერალ ელმერის ჯარებს მაგარი პოზიციები უპერიათ ტიგროსის ნაპირებზე. წყალდიდობა შეუძლებელს ჰყოფს ლაშქრობას.

რომი, 20 იანვარი. ლაგარინოს ღელეში დილით 18 იანვარს მტერი ამაოდ სცდილობდა არტილერიის დახმარებით იერიშით წამოსულიყო. სუგანოს ღელეში მტერს იერიში მოჰჭქონდა, მაგრამ ყოველგან უკუგდებულ იქმნა. გორიცისა და კარსოს შუა ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა. სანტ-მარტინოს სამხრეთ-დასავლეთით ერთი ჩვენი რაზმი შეიჭრა ჯარის თხრილებში და 50 ყუმბარა გადააგდო, რითაც ყოვლისფერი განადგურებულ იქმნა.

პარიზი, 21 იანვარი ღამემ წყნარად ჩაიარა. გუშინ საღამოს გერმანელებმა სუსტი იერიში მოიტანეს ენის ჩრდილოეთით, მაგრამ მალე უკუგდებულ იქმნენ თავიანთ თხრილებში ჩაიმალნენ.

ათინა, 21 იანვარი. მოკავშირეთა ცხენოსანი რაზმი იერიშით ეკვეთა ბულგარებს „1500“ მწვერვალთან და და თავის ტერიტორიაზე გადარეკა.

ლონდონი, 21 იანვარი. ინგლისელთა გემი „ბელ-დე-ფრანსი“ დაიღუპა. კამანდის მეტი წილი გადარჩენილია. დაიღუპა 19 კაცი.

ქურნალ-გაზეთებიდან

ბალკანეთში.

დედეაგაჩის დანგვრევა.

„ბ. ვ.“-ის ცნობით 15 იანვარს მოკავშირეთა ფლოტი 5 საათის განმავლობაში განუწყვეტელად ზარბაზნებს უშენდა დედეაგაჩს და მთლად მიწასთან გაასწორესო.

მთაშავეთის გენერლები.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: მთაშავეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალი ვუკოტიჩი და ორიც სხვა გენერალი ავსტრიელებს დაჰნებდნენ დანილოვგრადში, რომელიც პოდგორიცას ჩრდილოეთით მდებარეობს.

საზღვრის შეკვრა.

ბულგარელებმა თურთუკასთან მოულოდნელად დაჰკეტეს რუმინეთის საზღვარი.

პოლკ. ჰაუსი.

„ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით, ბერლინში მივიდა პოლკოვნიკი ჰაუსი ტ სადგურიდან პირდაპირ ამერიკის საელჩოში გაემართა. მან გაზეთების თანამშრომლები არ მიიღო. ამბობენ, ჰაუსი საგანგებო მინდობილებით არის აღჭურვილიო.

რუმინეთში.

რუმინეთის მინისტრ-პრეზიდენტმა სადარბაზოდ მიიღო გერმანეთის დესპანი ფონ-ბუში, რომელმაც განუცხადა: იმედია რუმინეთი ნეიტრალობას არ გადაუხვევსო.

ამბობენ, ფონ-ბუშს დავალებული აქვს, რუმინეთს გადაჭრით მოსთხოვოს ფორმალური პირობა ნეიტრალობისა.

ბულგარეთის ელჩი.

ბულგარეთის ელჩი ყოფილა ბერლინში. მას უთქვამს: ბულგარელების გული ვერც ერთმა მეფემ ვერ მოინადირა ისე, როგორც ეს მოახერხა ვილჰელმმა. ყოველი ბულგარელი აღტაცებულია ვილჰელმის მოქმედებით. მან შესძლო ყველა ბულგარელი მიეზიდნა თავის მხარეს. ბულგარელები და გერმანელები, თუმცა ნათესაობით შორეულნი არიან, მაგრამ დღეის შემდეგ მეგობრულის კავშირით მტკიცედ იქმნებიან შეერთებულნიო.

როგორც „უ. რ.“ ატყობინებენ, ბულგარეთს რუმინეთის საზღვარზე რკინის გზის ლიანდაგი აუყრია.

ინგლისს დააკლდა.

როგორც გაზეთი „დენი“ გვატყობინებს ინგლისელებს დაჰკარგვიათ 24,122 ოფიცერი და 525,345 მებრძოლი.

ჩინეთის რევოლიუცია.

ჩინეთის აჯანყებულები თანდათან წინ მიდიან და ქალაქს ქალაქზე იპყრობენ. უკანასკნელ ცნობით აჯანყებულებს გუიხუაჩენი დაუპყრიათ.

უკანასკნელი ფოსტა

ერობა განაპირა ქვეყნებში.

„ნ. ვ.“ სიტყვით სახელმწიფო საათბირო მომავალ სესიაში განიხილავს, განაპირა ქვეყნებში ერობის შემოღების პროექტს.

შტიურმერის პირადი მდივანი.

„დენ“-ი და „რეჩ“-ი იტყობიანებიან: ახალი პრემიერ-მინისტრი შტრიუმერი თავის პირად მდივნად იწვევს „ნოვოე ვრემიისა“ და „ვეჩერ. ვრ.“-ს თანამშრომელს მანასევიჩ-მანუილოვს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში მსახურობდა ვიტეს დროს.

შტიურმერი და პიტირიმი.

შტიურმერი 20 იანვარს მიტროპოლიტ პიტირიმს სადარბაზოდ ეწვია და ხანგრძლივ ესაუბრა.

გრძელის ველზე

ამ უკანასკნელ დროს თითქოს ომი ყველგან მოსწყდა. სჩანს ორთავე მოპირდაპირე მხარე კვლავ იკრებს ძალებს, რომ როგორც კი ამის დრო დადგება გადაანთხიონ ურთი-ერთს ცეცხლი და ტყვია.

მომავალი ომები უუსაშინელესი იქნება, რადგან ამ წელიწად ნახევარს ორთავე მოპირდაპირე მხარე გაიწვრთნა ომში, გაასწორა შეცთომები, ერთი მეორის სუსტი მხარე შეისწავლა და ცოტად თუ ბევრად შესვენებული და ახლად დარაზმული დაეჯახება ერთმანეთს. ამ უკანასკნელს შეჯახებას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა და ორთავე მხარე უკიდურესს თავგანწირულებას გამოიჩენს. ეს დრო რასაკვირველია ჯერ არ ვიცით რომელ თვეს და რომელ კვირის შემდეგ დადგება, მაგრამ ცხადია, რომ მალე უნდა დადგეს. ორთავე მხარე იქანცება სისხლით იწრიტება; ეკონომიური მდგომარეობა სულ აირ-დაირია. ცხოვრება მეტად გასჭირდა და დიდი ხნობით ასეთი მდგომარეობის გაგრძელება აღარ შეიძლება. დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, წლიურ მოსავალს, მაგრამ, საქმელ სასმელს გარდა, სხვა ათასი მოთხოვნილებაა. ბევრის მოთმენა შეიძლება, ბევრი ნაკლებულობის ატანა, მაგრამ დრო თავისას იზამს და მოთმინების ძაფიც გასწყდება, რადგან ყოველიფერი დანაკლისის ატანა შეუძლებელი გახდება. ორთავე მხარე ამნაირ ცუდ მდგომარეობაშია და ორთავეს ჰსურს დაინახოს დასასრული ომისა. რასაკვირველია, ორთავეს უნდა, რომ გამარჯვებული თვით დარჩეს და ამიტომაც უკანასკნელი შეტაკებანი უუსაშინელესი და გრანდიოზული იქნება. ვაი იმ მიდამოებს, რომელნიც ამ შეტაკების ადგილად იქცევიან,რაც ბელგეთ-სერბეთ-შავმთიელებს და გალიცია-პოლონეთს ეწია, იმას კიდევ უარესი დღე დაადგება. დღესაც თავ სამტვრევი საკითხია თუ რომელი ადგილი შეიქნება მოწმედ ამ საშინელებისა!

ჩვენ წინადაც და ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ აღმოსავლეთ ასპარეზის უკიდურესი სამხრეთი და უკიდურესი ჩრდილოეთი უნდა იქნეს უკანასკნელი ტრაგედიის მოწმე.

გ. გ.

ქართველ-სომეხთა მისწრაფებანი

(გაგრძელება. იხ. „საქ.“ № 15)

ქართველთა მდგომარეობა და მისწრაფება კი ასეთია.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველო ერთმორწმუნე რუსეთს შეუერთდა ამ ერთს საუკუნეზე წინეთ. ის შევიდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში თავისი განსაკუთრებულ განსაზღვრულ მიჯნებით. რუსეთის დიდმა იმპერიამ პირობის ძალით იკისრა დაცვა დასუსტებული ერთმორწმუნე ერისა და მისი მიწა-წყლისა.

ქართველი ერი პირველ ხანებში ახალ შემოსულ მიუჩვეველს მართვა გამგეობას ვერ შეეგუა. და არა ერთხელ მოინდომა თავისი უფლებების აღდგენა. მოხდა კიდეც ამბოხება, არა საერთოდ—ალაგ ალაგ; მაგრამ დიდმა რუსეთმა ჩააქრო ესეთი ეროვნული პროტესტი. მას აქეთია ჩვენს ხალხში ეროვნული იდეა ძლიერ ეცემა და უმაღლეს წერტილს აღწევს 1900—7—8 წლებში, როცა თვით ქართველისათვის ქართველობაც კი სამარცხვინოდ მიაჩნიად. ეროვნული გრძნობის დაგმობა და „ნაციონალისტობის“ ათვალწუნება ჩვენში ს. დ. პარტიამ დააკანონა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ვერსაიდან საგრძნობი პროტესტი ვერ გაუწიეს ამ პარტიას, რადგან შინაური დემოკრატიული ძალები არ იყვნენ და გარეშენი კი ამ მიმართულებას, ეროვნული იდეის აღმოფხვრისას, ხელს უწყობდნენ. მათთვის ხელსაყარი იყო ასეთი ვითარება. გამოსარჩლება ეროვნულის იდეისა მხოლოდ შესაძლებელი შეიქმნა სოციალისტურ ქურქში, რომელიც ეგრედ წოდებულ „ს. ფ.“ სახელით გამოვიდა, ნიადაგი მოუმზადა ეროვნულ მისწრაფებას უსოციალისტოდ. სოციალისტური მოძღვრების გაბატონებამ უარყოფითს შედეგებთან ერთი რამ კარგიც მისცა ხალხს: ალღო და სურვილი თავისუფალი და უფრო შეგნებული ცხოვრება-მოქმედებისა. მაგრამ სოციალისტურ მოძღვრებას საშინელი მარცხი ეწვია. ლამაზი იდეით გატაცებულმა ხალხმა, რასაკვირველია ლამაზი სოციალისტური ფორმულები ცხოვრებაში ვერ ჰპოვა, დამარცხდნენ არა მარტო ფიზიკურად ამ ჯურის სოციალიზმის მიმდევრები, თვით იდეამაც განიცადა მარცხი, რადგან ერის საჭირბოროტო წყლულების განკურნებას ოდნავაც არ აკლავდა თავს. ნიადაგი ეროვნული თვით შეგნებისა მეტად თვალსაჩინოა ყველასათვის და ამის აუცილებლობას უმეტეს ამწვავებს ათასგვარი პოლიტიკურ ეკონომიური პირობები! უპირველეს ყოვლისა ერის გაპარტახებული სამშობლო მიწა-წყლის წაგლეჯილ-წამოგლეჯილი არეულ-დარეული საქმის საკითხია. მერე თავისი კულტურულ ეკონომიურ-პოლიტიკურ- სარწმუნოებრივი საკითხების თავის გართმევაა და მათი აღორძინებით წელში გამართვა.

სადღეისო უმწვავესი საჭირ-ბოროტო საკითხია თავისი ტერიტორიის შენარჩუნების და თავისი შვილების დასახლების საკითხი. (არა ნაკლები მწვავეა მისი პოლიტიკური და სარწმუნოებრივ დაბეჩავებული მდგომარეობა) ჯერ შევეხებით ამ საკითხს.

თავისი მამა-პაპეულის სამკვიდრებელი, მათი ოფლითა და სისხლით მორწყული წყალ-მინდვრები, ტყე და ველი, რომელიც რუსეთს გადაეცა განსაზღვრულს ფარგლებში დღეს უკვე აწეწილ დაწეწილია.

ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ქართველი ერი ბევრგან აიყარა და გადასახლდა. თავისუფლად დარჩენილ ადგილებში კი უცხო ტომისანი გაჩნდენ.

თავისუფლად გაიღო საქართველოს კარი და ყოველმა ვიგინდარამ შემოახიზნა თავი ჩვენს სამშობლოს. გაიტენა უცხო ხალხით ჩვენი სოფელ-ქალაქები და საქმე იქამდის მივიდა, რომ უკვე უცხონი თვის საკუთრებად იჩემებენ მათ. ქართველი ერის ნაწილი გადაგვარდა და გაჰქრა. რაც დარჩა, რასაკვირველია იმატა. იმ ვიწროთ შეხიზნულ მცირე მიწა წყალმა ველარ დასტია ასი წლით შევსებული ხალხის მოდგმა. ქართველ ერსაც უნდა დასასახლებელი კარ-მიდამო და სახნავ-სათესი ველ-მინდორი და საძოვარი. ამ მხრივ ქართველი ერის მდგომარეობა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ ძლიერ უნუგეშო მდგომარეობაშია. მას ველარ ძალუძს თავის მიწა წყალზე თავისი შვილები მოათავსოს. სვანები, ფშავ-ხევსურები, რაჭველები, იმერლები, და თვით ქართლ-კახელებიც კი ველარ ეტევიან მამა პაპეულს მიწა წყალზე და თავისსავე სამშობლოში ამაოდ ეძებენ დასასახლებელს ადგილს. ჩვენის ერის საკოლონიზაციო საკითხი ერთი უდიდესი საკითხია მისი არსებობისათვის. ათასობით უმიწაწყლოდ დარჩენილი ქართველობა ჩვენის თვალის წინ დახეტიალებს და თავშესაფარს ამაოდ დაეძებს. ხან ერთი ადგილიდან ერეკებიან, ხან მეორედან მათ, როცა რომ მათივე ცხვირის წინ უცხო ტომის ხალხს ასახლებენ, ან უცხო ტომისანი ესახლებიან მის სამშობლოში. ეტი არ იქნება სანიმუშოდ მოვიყვანო ვითარება ათასობით მოხეტიალე უსახლკარო უმიწაწყლო ქართველებისა. სახელდობრ ორი თხოვნა ყოფილის მეფის ნაცვლის სახელზე 204 მეკომურის გლეხის ვექილის გრიგოლაშვილისა და სხვა გლეხების 75-მდე მეკომურის ვექილის გლეხის პირველის მთხოველის კობერიძის. შედეგები ვიცით და მეორესი კი ჯერ არ შეგვიტყვია, თუმცა სანიმუშო არც ერთი თხოვნა არაა, მაგრამ თვით გარემოებაა დამახასიათებელი*).

მოგვყავს ეს თხოვნები: „მის ბრწყინვალებას მეფის ნაცვალს კავკასიაში გრაფს ვორონცოვ-დაშკოვს.

204 მეკომურ კაბლას მიდამოებში დასახლებულ გლეხების ვექილის გიორგი სპირიდონის ძის გრიგოლაშვილის თხოვნა.

წასულ 1908 წლის 19 ივლისს მე მოგართვით თქვენო ბრწყინვალებავ თხოვნა, სადაც გთხოვდით, დასახლებული ადგილი გებოძათ ჩვენთვის ჭიაურის „დაჩაში“. აქ იყო იმ ჟამად 27,000 დესეტინა, აქედან 11,000 გაცემული იყო დასასახლებლად, ხოლო 16,000 დესეტინა თავისუფალი იყო. ამ თავისუფალ 16,000 დესეტინიდან დასასახლებლად ჩვენ მხოლოდ 1000 დესეტინას ვითხოვდით. თქვენმა ბრწყინვალებამ ინება წაეწერა ამ თხოვნაზე „უკეთუ აღმოჩნდეს თავისუფალი ადგილი, მიეცეს გრიგოლაშვილსო. პასუხად თქვენი მოწყალე განკარგულებისა, სახაზინო მამულების მართველობაში მითხრეს: ჭიაურის „დაჩა“-ში ამიერიდან დასახლება არ შეიძლებაო, რადგანაც იქაურმა მცხოვრებლებმა—ქიზიყელებმა, თხოვნა შემოიტანეს, იქ გარეშე ხალხი აღარ ჩავასახლოთ, რადგან, მათის ჩვენებით, ის ადგილები მათაც არ ჰყოფნით საცხოვრებლად და თავის სარჩენათო.

ამის გამო მე ხელმეორედ მოგართვით თხოვნა თქვენო ბრწყინვალებავ 18 დეკემბერს ამავ 1908 წელს აქ მოვიხსენიე ისიც რომ ქიზიყელებს სურთ კაბალას შეძენაც რადგანაც რაც აქვთ ის სამყოფად არ მიაჩნიათ მეთქი.

ამავე თხოვნაში გემუდარებოდით, მიგეცათ ადგილი ჩემი მშიერ-მწყურვალი რწმუნებლებისათვის იმავ თავისუფალი ადგილები ჭიაურის დაჩაში. ეს მეორე თხოვნა თქვენმა ბრწყინვალებამ გადაგზავნა სახაზინო ადგილების მართველობაში. ზედ წარწერით: „მეჩვენოს მეო თავისუფალი ადგილები გრიგოლაშვილის რწმუნებულების დასასახლებლადაო“. ამაზედ პასუხი იყო რომ მართველობას საშვალება არ აქვს იმ ადგილებში ვინმე ჩააასახლოს. ამნაირათ მეორედ უარი მივიღე. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩემს მეორე თხოვნაში ვითხოვდი ჩემი რწმუნებულის დასახლებას სხვაგანაც მაგ. აწიმში რომელიც იმყოფება ჭიაურის „დაჩის“ საზღვრებში. ოთხი წლის შემდეგ ამისა 1912 წელს 2 ნოემბერს მესამედ მოგართვით თხოვნა, სადაც კვლავ მოვახსენებდი თქვენს ბრწყინვალებას, რომ ჭიაურის „დაჩაში“ თავისუფალი ადგილი იყო და ვთხოვდი ნება მოეცათ სახლ-კარი გაგვეჩინა ან ისევ იქ ან სადმე სხვაგან, მაგ. „თვალის ბოლოს“ ზაქათალის ოლქში, ან და „ფერაანში“ ქუთაისის გუბერნიაში, ბაღდადის საბოქაულოში ან საცა კი შეიძლებოდა. ამ თხოვნის პასუხი ვერ მივიღე და როცა საკითხად მივდიოვარ ხოლმე დამციხიან კიდეც...

ესევე გრიგოლაშვილი სწერს 1914 წელს.

მის ბრწყინვალებას, მათი იმპერატორობით უდიდებულესობის მეფის ნაცვალს კავკასიაში.

გადმოხვეწილი გლეხების გვარად ბარბაქაძეების, გრიგოლაშვილების, გოგოლაძეების, ბინაძეების, შეყრილაძეების, მაკაბიძეების, დავლიანიძეების და სხვა გლეხების ვექილის გიორგი სოფრომის ძის გოგოლაშვილის თხოვნა:

— არა ერთხელ შეგვიწუხებია თქვენი ბრწყინვალება უმორჩილესის თხოვნით, სიმშილობა და საზოგადოდ საშინელი გაჭირვება მაიძულებს მე და ჩემს რწმუნებულთ მოწყალება და სამართალი ვეძიოთ თქვენს ბრწყინვალებასთან. ჩვენ, ეს უბედური აყრილნი იმერეთის და რაჭის მაზრათა დამშეულ სოფლებიდან, ქუთაისის გუბერნიიდან, 204 კომლამდე 1908 წლიდან მოყოლებული დავეხეტებით შიშველ-ტიტველი, შიმშილით წელ-მოწყვეტილნი ჩვენი ოჯახებითურთ და ამაოდ დავეძებთ თავშესაფარს კურთხეულ კახეთის სხვა და სხვა კუთხეში და ზაქათალის ოლქში. ჩვენ მშრომელი ხალხი ვართ და ვეძებთ ისეთ ადგილს, სადაც შეგვეძლება ჩვენი ძალღონე მოვიხმაროთ და პური არსობისა ჩვენი ოფლითვე მოვიყვანოთ, მაგრამ ვერ შეეძელით, რადგანაც ჯერი არ გვაბადია, არა გვაქვს თუნდა მტკაველითაც ტრამვაი ქალაქის ხელში გადავიდა, სამოსამართლო პალატა 5 თებერვალს განიხილავს.

◆ ქალაქთა კავშირი საკუთარ პურის საცხობ ფურნეს აწყობს.

◆ ახალ ლაზარეთების და საკვებ პუნქტების მოსაწყობად 1916 წლის პირველ 4 თვეს ქალაქთა კავშირი სთხოვს ცენტრალურ კავშირს ერთდროულად 103225 მ. 42 კ. და ყოველთვიურად 874714 მანეთს.

◆ ტფილისში დაბრუნდა ჩრდილო კავკასიაში მოგზაურობიდან ტფილისის გუბერნატორი სენატორი ი. მ. სტრახოვსკი.

◆ მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მიუქცევია ყურადღება ქალაქის უმთავრეს ქუჩებზე შეუფერებელ მოკირწყლისთვის, რომლის გამო მოძრაობა ცხენიან ეტლებისა უხერხული ხდება. ამის გამო გუბერნატორმა წინადადება მისცა საგუბერნიო და საქალაქო ინჟინრებს ეხლავ შეუდგნენ განხილვას ამ მოკირწყვლის გაუმჯობესებისას და თან წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას ამიერიდან ყველა პროექტები ქუჩების მოკირწყვლის შესახებ მას წარედგინოს განსახილველად.

◆ ბრალმდებელი სამოსამართლო პალატისა ე. მ. კისელევსკი ბაქოს გაემგზავრა.

◆ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ უკვე მიიღო ზომები სხვა და სხვა პირზე დარჩენილ ვალების გასანაღდებლად.

◆ იბეჭდება „რუსკოე სლოვოს“ პირველი ნაწილი ი. გოგებაშვილისა და მალე გამოვა გასასყიდათ.

◆ სათავად-აზნაურო ბანკში. დასრულდა საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა, რომელთა პატრონთაც ვერ შეიტანეს გადასახადი. გაიყიდა 5 მამული (2 ქალ. ფოთისა, 1 ბათომისა, 1 ბაქოსი და 1 სოფლისა თბ. მაზრაში). ბანკზე დარჩა 2 მამული: 1 ქ. ნუხში და 1 გორის მაზრაში.

◆ ქართულ კულტურის მოყვარე საზოგადოების წლიური კრება ამ თვის ბოლოსაა დანიშნული.

◆ წერა-კითხვის სკოლების მეთვალყურე გრ ბურჭულაძე ამ დღეებში სკოლების სარევიზიოდ ბორჩალოს მაზრაში მიემგზავრება.

◆ ალვანის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა თუშეთში შუამდგომლობს, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წინაშე, გამოუწეროს ამხანაგობას 5 ვაგონი ფქვილი და 5 ვაგონი მარილი.

◆ ყოფილი სტიპენდიანტები ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა უკვე იხდიან მათზე დარჩენილ ვალს. ქ-ნ ელ. ჯიჯავაძისამ უკვე 800 მანეთამდე წარუდგინა გამგეობას და შ. ავალიშვილსაც ყოველ თვე შემოაქვს გადასახადი. კრავს ინებებენ სხვა სტიპენდიანტებაც ეს ასალითის მიჰბაძავენ.

◆ სარევიზიოდ გამგზავრება. ამ დღეებში კახეთის რკინის გზაზე გაემგზავრება სარევიზიო კომისია, რომელსაც თან გაჰყვება გზის მართველი თავ. თუმანიშვილი.

◆ სურსათი. 21 ამა თვეს რკინის გზით შემოვიდა თბილისში: ფქვილი 12 ვაგ., ქერი 1 ვაგ. დამარილებული ხორცი 3 ვაგ. ქაღალდი 2 ვაგ. შეშა 53 ვაგ. ქვა-ნახშირი 3 ვაგ. მაზუთი 5 ვაგ. კარაქი 192 ფუთი.

◆ საპასუხო დეპეშა. მისი უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ ნეიდგარტისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოუვიდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეს შ. მ. მაჩაბელს: დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასული დიდად ნასიამოვნებია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მოლოცვით და მისმა უმაღლესობამ მომანდო გადმოგცეთ მადლობა კეთილ გრძნობათა გამოცხადებისათვის.

◆ თავის მოკვლა. 21 ამა თვეს თბილისში რევოლვერით თავი მოიკლა მე-2 გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლემ ალექსანდროვსკაიამ.

◆ გადამდები სნეულებანი. გუშინ 22 ამა თვეს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 179, ხუნაგიანი 19, სახადიანი 19, საოფლიანი 6, წითელ ქარიანი 1, მენინგიტიანი 2 კაცი.

◆ ყოველ კვირეული ჟურნალი. რ. ბებიაშვილს განზრახული აქვს გამოსცეს ქართულ ენაზე ყოველ კვირეული სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი. ჟურნალი უპარტიო იქნება.

◆ სომეხ მწერლებმა გადასწყვიტეს გამოსცენ სომხურს ენაზე ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი.

კავკავი

კავკავის ქართულ სკოლაში სწავლობს 107 ვაჟი და 88 ქალი, სულ 195 მოწაფე.

თეთრ ბილეთიანების შემოწმება

(დეპეშა)

გამოქვეყნდა თეთრბილეთიანების შეამოწმების წესი, გარდა კაზაკთა წოდებისა. შეამოწმებენ: 1. 1888 წლის 1 ღვინობისთვიდან 1895 წ. ქრისტეშობისთვემდე დაბადებულთ, რომელნიც 1910—1916 წელს არიან ჯარში ჩარიცხულნი, შემოწმების დროს უვარგისად სცნეს და უვადო მოწმობა ველა მიწა. ხაზინაც თავისუფალ მიწებს არ იძლევა, მაშინ როდესაც ჩვენს თვალწინ ამდენ თრევა-წყვეტების დროს, როდესაც ხვეწნა-მუდარით თავს ვაბეზრებთ ათას პირსა თუ ათას დაწესებულებას, სწორედ ამ დროს სხვებმა თავშეუტკივრად, თითქმის გაურჯელად თითქოს ჩვენს გამოსაჯავრებლად ყოფილიყოს, არა თუ კახეთსა და ზაქათალის ოლქში მიიღეს უმშვენიერესი ადგილები, არამედ სამეურნეო ხელსაწყოც კი მისთავაზეს მათ. უკვე ჩვენს თვალწინ გაშენდა რუსული სოფლები. მათ მთავრობის დახმარებით დაიწყეს მუშაობა, სახლ-კარი მოიწყეს ააყვავეს, მაშინ როდესაც ჩვენ, ვინც ექვსი წლით მათზე ადრე მოველით და გთხოვდით პატარა მიწის მოჭრომვას, თუნდა იმ ადგილებს, სადაც უკვე გადმოსახლებულ რუსთ იქნებ აზრადაც არ მოსვლიათ გადმოსახლება, ჩვენ ყოველთვის უარით გვისტუმრებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ თხოვნა მრავალჯერ იყო განმეორებული 1908 წლიდან მოყოლებული დღემდე.

თქვენი ბრწყინვალების მიერ არა ერთხელ იქმნა მოხდენილი განკარგულება, სადაც ჯერ არს, მოეცათ ჩვენთვის მიწა, მაგრამ ჩვენთვის მიწა ყოველთვის საკმარისი არ იყო, ჩვენს თხოვნაზე თქვენ ბრწყინვალების წინადადებაზე ჩვეულებისამებრ გვიპასუხებდნენ:

„თავისუფალი მიწა არ არისო!“.

ამავე დროს კი ჩვენ თვალწინვე რუსგადმოსახლებულთა სოფლებს აშენებდნენ და აშენებდნენ. ეგრედ წოდებულ „ატიმის“ მამულში, ჭიაურის საადარაკოში, სიღნაღის მაზრაში, ჩვენ გამოგვრეკეს და რუსები კი ჩაასახლეს. თავისუფალი მიწა სოფ. „ვარანცოვკასა“ და ჩოლოყაშვილთა მამულის შუაც რუსები ჩაასახლეს, ჩვენ კი სახაზინო მამულის მახლობლადაც არ გვაკარებდნენ.

(შემდეგი იქნება)

ახალ შიმშილობის წინ.

თბილისი, 23 იანვარი.

საერთო ქვეყნიერობის პირობათა ცვალებადობის გარდა, ჩვენში კერძოდ ადგილობრივი უბედურება გვეწვია, შიმშილი,წყალდიდობა, მოუსავლობა ღვინისა ⁄ სხვა ყველა მეურნეობის დარგის დაქვეითება და დაცემა. ათასგვარი მიზეზების გამო და, რასაკვირველია, უპირველესად მუშა ხელის ოჯახის მოწყვეტით, წლევანდელი წელიწადი ეროი უმძიმესი და უსაშინელესი გაგამოდგა ქართველი ერისათვის. ჩვენი მეურნეობის მომავალი წლის ნიშნები დღეს უკვე სჩანს და ბევრს სანუგეშოს არას იძლევა.

გაძვალტყავებული, ულუკმა პუროდ უთესლოდ, უმუშახელოდ უსაქონლოდ დარჩენილი ჩვენი სოფელი, უეჭველია, მომავალი წლისათვის კიდევ უმეტეს უბედურებას უნდა მოელოდეს თუ ამას ამინდმაც, როგორც დღემდე უწყობდა ხელს და შარშან, ისე შეუწყო ხელი, ეჭვს გარეშეა მთელი ჩვენი ქვეყანა შშიერთა ბანაკად იქცევა. თავისუფალ სახელმწიფოებს ჰყავს თავისი ჭირის უფალნი—არსებობს მთელი სამინისტროები, ჩვენ კი არც სპეციალი დარგები და დაწესებულებები გვყავს ამის ანგარიშის გასაწევად, არც საჭირო თანხები მოგვეპოვება. როგორც შესწავლა ჩვენის მოთხოვნილებისა, აგრედვე სახსრის გამონახვა სულ თავზე აწევს, ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ და არსებულ დაწესებულებებს. უპირველესი ვალი ამ მხრივ ორ დაწესებულებას აწევს, სახელდობრ სამეურნეო საზოგადოებას და საქველმოქმედო საზოგადოებას.

მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით ამ დაწესებულებებს ჯერაც არ აქვთ მიღებული ზომები მომავალი უსაშინელესი უბედურების თავიდგან ასაცდენათ, რადგანაც ვერ აუღიან აწინდელ უბედურების და გაჭირვების შველას, ამისათვის მათ საკმაო ძალა არ მოეპოვებათ.მათ არ შეუძლიათ რომ თავისი მცირე თანხით რამე თვალსაჩინო დახმარება აღმოუჩინონ ხალხს. საჭიროა რომ ამ საკითხს დიდი ანგარიში გაუწიოს წვრილი კრედიტის დაწესებულებებმა. იმათ უნდა გამოიკვლიონ ყველა მოთხოვნილებანი. ისინი სდგანან სოფელთან მახლობლად, მათ აქვთ საშვალება ადგილობრივ გაიგონ ყველას საჭიროება. ამიტომ, მათი ვალია უცილობლად მოჰკიდონ ხელი ამ დიად საქმეს და შეერთებული ძალით შეეცადნენ მომავალი წლის შიმშილობის თავიდგან ასაცდენად. იმათ უნდა გამოარკვიონ რიცხვი საჭირო სათესლე პურისა და სიმინდისა. იმათ უნდა დაიხმარონ საქველმოქმედო და სამეურნეო საზოგადოებანი, უნდა აშოვნიონ ხალხს საქონელი და საწარმოვო იარაღი, და სადაც შესაძლებელია დაახმარონ მუშა ხელიც, თორემ აწიოკებულს წლევანდელი უბედურებით ჩვენს სოფელს მომავალი წლის მოუსავლობის გამო ერთიანი შიმშილობა და საშინელი გადამდები სენის გავრცელება ელის.

დეპეშები

გაზეთ „საქართველოს“ საკუთარ კორესპონდენტებისაგან.

მოსკოვი

ახალი პრემიერის დანიშვნის გამო.

მოსკოვის გაზეთებმა ვრცელი კომენტარიები მიუძღვნეს მინისტრთა კაბინეთის თავმჯდომარის გადაყენებას.

„მოსკოვსკია ვედომოსტი“ სწერს: მინისტრთა საბჭოს სათავეში შტიურმერის ჩაყენებით მხოლოდ პიროვნება მოიცვალა. პოლიტიკური კურსის მიმართულება უცვლელად ძველივე დარჩაო“.

—

გაზეთი „უტრო როსიი“ აღნიშნავს მიტროპოლიტ პიტირიმს წილი უდევს შტიურმერის კანდიდატურის წამოყენებაშიო.

—

მინისტრთა კაბინეთის თავმჯდომარის გამოცვლასთან ერთად მოელიან თვალსაჩინო ცვლილებას სხვა და სხვა სამინისტროში, მაგ. ფინანსთა სამინისტროში, გარეშე საქმეთა სამინისტროში და უწმიდესი სინოდის პროკურატურაში.

სათათბიროს მოწვევა.

კარგად გაგებულ წრეებში სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას ამ დღეებში მოელიან.

ვეშაპელი.

დამატების შინაარსი:

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება: აკაკისა და ვაჟას სურათები. მსახიობ ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო ასპარეზზე 30 წლის მოღვაწეობის გამო თვით მსახიოს ქალის რამდენიმე სურათი სხვა და სხვა როლში. „სოფლის ყრილობა“ ნახატი ალ. ციმაკურიძისა, მ. კავსაძის მომღერალთა გუნდი, მთაშავეთის მეფე და რამდენიმე კარიკატურა. ლექსები კოწია ერისთავისა, გ. ლეონიძისა, ქნარისა და სხვათა. ზღაპარი ინბანისა და ესკიზები.

---

*) См. Печатн. I.

მიიღეს. ამათ რიცხვში იგულისხმებიან ის თეთრ ბილეთიანებიც, ვინც 1915 წ. 1 ღვინობისთვეს უკვე ხელმეორედ შეამოწმეს. ამათსავე რიცხვში ითვლებიან კომისიის მიერ დაწუნებული ექიმები, ბეითლები და ფარმაცევტები.

2) აფიცრები, სამხედრო გზათა მოხელენი, რომელნიც 1916 წ. 1 იანვარს 44 წელი შეუსრულდათ ⁄ რომელნიც 1915 წ. 1 აგვისტოს შემოწმებით უვარგისნი აღმოჩნდენ სამხედრო სამსახურისათვის და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ იყვნენ. საზღვაო მინისტრის განკარგულებით შეამოწმებენ აგრეთვე ფლოტის ქვემოდ ჩამოთვლილ პირთ: აფიცრის ხარისხისანი და კონდუქტორის ჩინისანი რომელნიც 1916 წ. 1 იანვარს 44 წელიწადი არ შესრულებიათ და რომელნიც უვარგისად იყვნენ ცნობილნი. აგრეთვე ფლოტის ჯარისკაცნი, სამხედრო მეზღვაურთა სასწავლებლის მოწაფენი იუნკრები და ვოლნოოპრედელიაუშჩები 1888 წ. 1 იანვრიდან 1895 წ. 31 ქრისტეშობისთვემდე დაბადებულნი, რომელნიც წინად სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად უცვნიათ.

ასეთ თეთრბილეთიანების შემოწმება დაიწყება მაშინ როდესაც 1915 წ. 18 გიორგობისთვეს გამოცემულ განკარგულების ძალით მოთავდება სათადარიგოთა და 1 ხარისხის მოლაშქრეთა (რატნიკების) შემოწმება. თეთრბილეთიანების შესამოწმებლად დაიბარებენ ჯერ უფრო ახალგაზდებს, შემდეგ უფრო მათზე ხნიერებს. სამხედრო ბეგრის 76—79 მუხლის ძალით გასაწვევი მოსწავლეები ამავე წესით იქმნებიან დაბარებული. თუ ვარგისად სცნეს, უფლება აქვთ ერთი თვის ვადა ითხოვონ. ამ ერთ თვეში, სასწავლებელთა სამინისტროები სამხედრო და საზღვაო სამინისტროსთან შეთანხმებით საბოლოოდ გადასწყვეტენ ასეთ პირთ ვადა კიდევ გაუგრძელდეთ თუ არა.

სახელმწიფოს თავდაცვისათვის მასალების დამზადებაში მომუშავენი შემოწმებისაგან არ თავისუფლდებიან; თუ ვარგისად იქმნებიან ცნობილნი, შეუძლიანთ არ წაიყვანონ 1915 წ. 6 იანვარს უმაღლესად გამოცემულ წესების მიხედვით.

აკაკის გარდაცვალების წლის თავი

სამშაბათს, იანვრის 26-ს, სრულდება ერთი წელიწადი, რაც ჩვენი ერის დიდება **აკაკი** გარდაიცვალა. „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ თაოსნობით ამ დღეს გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე (მამა დავითში), წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე.

იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე, საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში, მოხდება **საზეიმო სხდომა** „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა თანადასწრებით. სხდომა გაიხსნება „საზოგადოების“ თავმჯდომარის ე. ს, თაყაიშვილის სიტყვით. შემდეგ მოხსენებას წაიკითხავენ: ა) ახალგაზრდა მკვლევარი პავლე ინგოროყვა: „აკაკი“. ბ) ექიმი ივანე სპ. ელიავილი: „მოგონება აკაკის შესახებ“; დასასრულ, წაკითხულ იქნება აკაკის ნაწერები და ახალგაზდა მგოსანთა ლექსები აკაკისადმი.

საზეიმო სხდომის ბილეთები გაიყიდება: ა) „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (შაბათს, ორშაბათს და სამშაბათს ნაშუადღევის სამ საათამდე); ბ) „ძმურ ნუგეშში“ (ქართველ ქალთა საზოგადოების საჩაიე)—კვირას დილის 10 საათიდან და გ) საარტისტო საზოგადოებაში თვით სამშაბათს, საღამოთი. ბილეთების ფასი: სკამებზე 1 მან. 50 კაპეიკიდან ათ შაურამდე (50 კაპ.), ფეხზე დგომით—30 კაპეიკი.

სხდომის წმინდა შემოსავალი მიემატება აკაკის სახელობის ხალხური სიტყვიერების თანხას.

კლეოპატრა და კეისარი

„შე ბრიყვო შენა, არ იცი, ცუდი ამბის თქმა არ არის კარგი, თუნდაც იგი სიმართლეს შეეხებოდეს“,—შეჰკივლა კლეოპატრამ და ჯოხი დაუშინა შიკრიკს, რომელმაც ანტონიუსის დამარცხების ამბავი ამცნო. ასე არ იქცეოდა კეისარი. სასტიკი ბრძანება ჰქონდა გაცემული ყოველისფერი უბედურება თუ კეთილი ნაბიჯი, გამარჯვებაც და საფრთხეც სინამდვილით გარდმოეცათ მისთვის, რომ შესაფერისი ზომები მიეღო. მას შემდეგ საუკუნენი მიჰქრიან, მაგრამ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში არ ჩამქრალა კლეოპატრას და კეისრის ძლიერი სული. ერთგან თუ კლეოპატრას ქალური სიბრძნეა, ქალური პოლიტიკის მეუფება, მეორედგან ვაჟკაცური, კეისრისებური, რაიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

იქნებ ამ ორის პოლიტიკის ბატონობა ისე არას დროს ყოფილიყოს ნათელი, როგორც დღეს. მსოფლიო გაუგებრობის ბურუსშია გახვეული. მებრძოლ სახელმწიფოთათვის მსწრაფლმსრბოლნი და შიკრიკნი სინამდვილის ამბავს არ არიან ჩვეულნი. ამაოდ მოითხოვდა ინგლისი და საფრანგეთი თავიანთ მთავრობისაგან სიმართლის გამხელას, ამაოდ სცდილობენ დღესაც ცენზურის რკალები შესუბუქებულ იქმნეს, რათა სიმართლე უწყოდეს ხალხმა და შესაფერი ზომებიც მიიღოს საბრძოლველად. ფაქტიურად კლეოპატრა გამარჯვებულია, კეისრის სული აჩრდილსავით სადღაც გაჰქრა.

მაგრამ ის, რაც ხდება რუსეთში, ყოველისფერს აღემატება. თუ დასავლეთში ხალხი და მისი მოწინავე საზოგადოება წინ უდგება მთავრობას და მოითხოვს სიმართლის გამხელას, თუ მთავრობა და ხალხი პირისპირ უდგანან ერთმანეთს და ერთად ბჭობენ, ერთად ანგარიშობენ საქმის ვითარებაზე, სამაგიეროდ აქ მოწინავე ელემენტებიც და თვით ხალხიც კლეოპატრას ქალურ პოლიტიკას მოუცვავთ და არა თუ ერთმანეთს, თვით თავის თავსაც ატყუებენ. შორს ნუ წავალთ: აიღეთ რომელიც გნებავთ ყოველდღიური ჟურნალ-გაზეთი, ან-და გაისარჯეთ და ყური დაუგდეთ სეირნის დროს გამვლელ-გამომვლელს, ან-და შებრძანდით სალონში, ან თუ გნებავთ, სადმე აუდიტორიაში, თუნდა ისეთგან, სადაც გრედესკულნი გადმომდგარან ტრიბუნიდან, თქვენ მოისმენთ განსაკუთრებულ ამბებს, დაუჯერებელს, გგონიათ, უცნაურ ხალხთან გაქვთ საქმე, რომელთაც რეალ ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვსთ.

ნუ გგონიათ, მხედველობაში მარტო ომის ამბები მქონდეს. არა, უფრო საგულისხმიერო, ვიდრე ხმლით წართმეული გუბერნიები. რუსეთს ჰსურს დაჰკარგოს ის, რაც არ დაუკარგია და არც დაეკარგება ხმალ-კაპარჭით. მე მოგახსენებთ ფრიად პლატონიურ თუნდა ისეთს პროტესტებს, როგორიც დღეს გვესმის პროფესორთა, ადვოკატთა, ექიმთა, მრეწველთა თუ ვაჭართა პირიდგან: „ბოიკოტი გერმანეთს.“

დევნა იმისი, რითაც დღესდღეობით სცოცხლობს ხალხი, ნიშნავს სინამდვილის არ დანახვას. როდესაც ინგლისში თუ საფრანგეთში გვესმის ასეთი პროტესტები, რათა ჩამოიშორონ ყოველისფერი ის, რასაც გერმანელი დაღი აზის, ანუ როგორც ამბობენ »made in germany“, მაშინვე სამაგიეროს მიაწოდებენ,

საფრანგეთმა 1871 წლის დამარცხების შემდეგ შეიზიზღა გერმანეთი, ბოიკოტი გამოუცხადა მის მეცნიერებას, მრეწველობას, მაგრამ რა გამოდგა? სახელდობრ ის, რომ რამდენიმე ათეულ წლებში ჩამორჩა, საკუთარიც ვერ აამაღლა იქნობამდე, რომ გერმანეთის მეცნიერება— მრეწველობისთვის გაესწრო. ბოლოს შეურიგდა ბედს, კარი გაუღო, მაგრამ ამ კარის გაღებით მშვენივრად ისარგებლა, ყოველის ფერი შემოსული ფრანგულს ქურაში გამოაწრთო და ფრანგული სული ჩაუდგა, მით გასწორდა წელში, მით დაიწყო მეტოქეობის ველზე გამოსვლა. მაშასადამე, მარგალიტს ღირებულება იმით ოდნავაც არ აკლდება, თუ ის ავაზაკს სჭერია ხელში, არა, საქმე ის არის, შენ თითონ ჩაიგდო და ღირსეულად მოიხმარო. რუსეთს კი ეს არ შეუძლიან,

თუ ეს ითქვა მეცნიერებაზე, თქმა არ უნდა, ითქმის მრეწველობისა და ვაჭრობის შესახებაც. როდესაც ზოგიერთა ეგრედწოდებული ეკონომისტები დიდს იმიდებს ამყარებენ მახლობელ თუ შორეულს აღმოსავლეთზე, იქიდან გველის აღორძინება—გამდიდრებაო, ეს უნდა მივიღოთ როგორც ერთგვარი პოეტური გატაცება, ვინაიდან რუსეთის მანუფაქტურული, შაქრისა თუ ლითონიური საქონელი იზიდება მხოლოდ სპარსეთში და მცირე აზიაში, მანჯურიაში და მონღოლეთში, სულ რამდენიმე მილიონ მანეთისა, რასაც ეკონომიურ თვალსაზრისით ასეთ დიდ სახელმწიფოს წარმოებისა და აღებ-მიცემობის გასავითარებლად სრულებით მნიშვნელობა არა აქვს. ასე რომ რუსეთს თავისით, თუ მართლა ბოიკოტს გამოაცხადებს, არასოდეს არ შეეძლება ბაზარი საკუთარი წარმოების ნაყოფით აავსოს, იგი სრულიად დაცარიელდება და ნიათ გამოცვლილი, უდოვლათო, აზიის გაკოტრებულ სახელმწიფოთ ამოუდგება გვერდში. ამიტომ, როდესაც ჰყვირიან: „ბოიკოტს გაუმარჯოსო“! ანდა, „ვეცადოთ, იქნებ ჩვენ თვითონ მოვახერხოთ ჩვენს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაო“, როდესაც ამ ძახილს იმეორებენ გრედესკულნი და futti quanti, როდესაც ჟურნალ-გაზეთებშიც სერიოზული კილოთი ამის საჭიროებას ჰქადაგებენ, მაშინ უნებურად რწმუნდებით, თუ თქვენს წინ როგორ პლატონიურ ხალხს შეუყრიათ თავი, რომელთაც თითქმის მრეწველობისა ⁄ კომერციული ქვეყნისთვის თვალი არას დროს შეუვლიათ. საწარმოვო ძალთა განვითარება, კაპიტალისტურ ტეხნიკის მოწყობა-მოწესრიგება ერთი დაკვრით არ იქნება. აქ საჭიროა დრო და გამოცდილება. დღეს კი რუსეთი დღეობით სცხოვრობს.

არა, ბოიკოტი სრულს კოტრობის სიმპტომად დარჩება ახალგაზრდა რუსეთის და, შესაძლებელია, ერთგვარ სასოწარკვეთილებას მიეცეს კიდეც ამის გამო.

მელანქოლიური და მწარე შენიშვნებია ასეთი შენიშვნები, მაგრამ რა ვუყოთ თუ თვით ცხოვრება მელანქოლიურს სამოსელში გაიკვალთა! მეცნიერება, ცხოვრება და ეკონომიკა არ იცდის. იმ შემთხვევაში, თუნდაც რუსეთმა განახორციელოს თვის განზრახულება, რაიც მილიონებად დაუჯდება,

ვინ იქნება ეს **უცხო** თუნდა გერმანეთის მოადგილე? რა თქმა უნდა, ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი. მართალია, როლები შეიცვლება მომავალ ცხოვრებაში, ისიც მართალია, რომ საქონელი „მეგობარ“ და „მოკავშირე“ სახელმწიფოებიდან იქნება შემოტანილი, მაგრამ რად გვავიწყდება, რომ კაპიტალიც და მომხმარებელის ჯიბეც „მეგობრობისა“ და „ეროვნების“ გარეშე სდგას და საკუთარ ინტერესის იქით რაიმე ზნეობრივი თვალსაზრისით სხვას არ დაეჩაგვრინება. ეთიკის ბრძანება არასოდეს საფუძვლად არა სდებია კერძო და კოლლექტივურ ეკონომიურს პოლიტიკას. ამიტომაც საკვირვლად არ უნდა დაგვრჩეს, თუ გერმანეთის ჩამოშორებით რუსეთი დაინახავს ახალს „ძალდატანებას“ მოკავშირეთა მხრიდან. ამაღელვებელია ასეთი დასკვნა, მაგრამ, ცხოვრების ლოღიკას ვერ გავექცევით. ამიტომ არაბოიკოტია საჭირო, არა გაანჩხლება, არა მწარე ტირადებით გაკამათება, არამედ კეისრისებური ბრძნული სიმშვიდე, შესწავლა უცხოელთა კაპიტალისა, მრეწველობის, მეცნიერების ტენდენციებისა, როგორც საფრანგეთმა მოგვცა ამისი საუცხოო მაგალითი და მაშინ დავინახავთ, რომ ახალგაზრდა რრსეთს მარადიულ მონობისა და და ვასალობის ბედი არ უწერია, რომ ისიც მოღონიერდება, შეჰქმნის საკუთარს წარმოებას. მეცნიერება ფილოსოფიას! ოღონდ გაინთავისუფლოს ხელი, ოღონდ ხელს ნუ მიიფარებს თვალზე, ოღონდ განშორდეს კლეოპატრას დედაბრულს პოლიტიკას!

დ. კასრაძე.

ლიტერატურული ეთიკა

(მცირე შენიშვნა)

ჩვენში გაჩნდება თუ არა რომელიმე ორგანო, ის თავის პირველ ნომრებში პრესის დანიშნულებაზე და ლიტერატურულ ეთიკაზე იწყებს ლაპარაკს; გავა ხანი და ეს ახალი გაზეთიც ჩაებმება საერთო ფერხულში და ისიც ისეთივე გზით იწყებს ბრძოლას თავის მოწინააღმდეგე ჯგუფისა და მის ორგანოს წინააღმდეგ, როგორც სხვა ყველა გაზეთები. ლიტერატურული ეთიკის უარის ყოფა საერთო სენია ჩვენი დღიურ გამოცემებისა, ამ მხრივ ყველას სჯობნის და აჭარბებს „თანამედროვე აზრი“, ხანდის-ხან ხსენებულ გაზეთს არც „სახალხო ფურცელი“ და გაზეთი „ზვირთი“ ჩამოუვარდება. ამ უკანასკნელ ხანებში, ხშირად შეხვდებით „თან. აზრის“ ფურცლებზე: „ჭკუით ლატაკნი“, „გაშიშვლდენ-გატიტვლდენ“ „გაკოტრდენ“ და სხვა ასეთ მარგალიტებს, რომლის გამეორებაც კი სამარცხვინოთ მიმაჩნია. იმავე გაზეთის ერთ უკანასკნელ ნომერში ამოვიკითხე: „ლიტერატურული პროსტიტუცია“... ამ უკანასკნელ ლიტერალურის „მარგალიტმა“ დამაწერინა ეს მცირე შენიშვნა... ხშირად მოწინააღმდეგენი პოლემიკის დროს საკამათო საგნის შინაარსსაც კი ივიწყებენ, ამა თუ იმ წერილის ავტორის გასალანძღავ - გასაბიაბრუებლად უფრო მეტს „მარგალიტ“ სიტყვებსა და ენერგიას ხარჯავენ, ვინემ საკამათო საგნის ობიექტიურათ გამორკვევა დამტკიცებისათვის. ვინ არის წინააღმდეგი აზრთა გაცვლა-გამოცვლისა, მოწინააღმდეგე ჯგუფების არსებობისა, პირიქით, ჩემის აზრით, მეტი ჯგუფობრიობა ჩვენი სიფხიზლის მომასწავებელია, თვითეულ ჯგუფს თვითონ ცხოვრება ჩამოაყალიბებს, თვითონ ცხოვრება და მისი მიმდინარეობა დაგვანახვებს თვითოეული ჯგუფის პსიხოლოგიას, მის სიკოტრესა თუ დოვლათიანობას. დასაგმობია მხოლოდ ბრძოლის ის საშუალება, რომელიც სწარმოებს დღეს ჩვენში არსებულ მოწინააღმდეგე ჯგუფთა შორის პრესით თუ სხვა რომელიმე სამარცხვინო გზით. განა შეიძლება იმაზე მეტი გაშავება შენი მოწინააღმდეგისა, როცა მის აზრს, შეხედულებას საფუძვლიანი დებულებებით, ფაქტებით დაარღვევ? რა საჭიროა სერიოზული საგნის შესახებ პოლემიკის დროს შენი მოწინააღმდეგის უწმაწური სიტყვებით და ინსინუაციებით გამასპინძლება? საქმე რომ გაზეთის ფურცლებზე თავდებოდეს, ჯანი გავარდეს, აღარ დაეძებდა კაცი, მაგრამ სამწუხაროდ ეს ჩვენი ლიტერატურული სენი გადადის მკითხველებზე, ხალხზე, რომლის უმეტესობა მხოლოდ გაზეთის საშუალებით იკმაყოფილებს თავის სულიერ მოთხოვნილებას, გაზეთით სწავლობს ენასაც. ხშირად ვყოფილვარ მოწმე დაბა-სოფლებში შემდეგი მაგალითებისა: მოწინააღმდეგე ჯგუფებიდან, ახალგაზრდა,—ყმაწვილები, „სოციალისტები“ კამათის დროს, სახელმძღვანელოდ, ვითომ თავის აზრის, შეხედულების დასამტკიცებლად გაზეთიდან ამოღებულ „მარგალიტ“ სიტყვებს მოიყვანენ და რაც შეიძლება მეტი ქუჩური სიტყვებით სცდილობენ ჩააჩუმონ მოწინააღმდეგე; საქმე ხშირად ძალზე მწვავდება—ხშირად რედაქციებიდან დაწყებული ჩხუბი მუშტი-კრივითაც თავდება.

აი კიდევ მეორე მაგალითი: გლეხებს გაზეთს უკითხავდი; ჩემდა უნებლიედ კითხვის დროს წავაწყდი ზემოდ მოყვანილ მგზავსს „ლიტერატურულ ნიმუშებს“; კითხვის გათავების შემდეგ, რაოდენიმე გლეხმა ჩაიცინა და მითხრა: „ეხ ჩვენ რაღა გვეძრახის, ნასწავლ ხალხსაც გცოდნიათ ერთმანეთის ლანძღვა და გაბიაბრუებაო“. ცოტა არ იყოს შევწითლდი და პასუხის მიცემაც ვეღარ მოვახერხე, ან კი რა მეპასუხნა. დიახ, ასეთია მწარე შედეგი ჩვენი ლიტერატურული სენისა, გაზეთის ფუცლებზე ნახმარი ქუჩური, უწმაწური სიტყვები უმეტესად მდაბიო მკითხველებს აფუჭებს, რყვნის... სისპეტაკე, სიფაქიზე გრძნობისა, სიწმინდე ენისა, ეთიკა, ზნეობა და სხვა უმფრო ლიტერატურულ დარგს მოეთხოვება ვინემ სხვას, ამას ალბად თითონ ეთიკის დამარღვეველნი გრძნობენ, მაგრამ ეს სენი მაინც ვერ აუცილებიათ თავიდან. რასაკვირველია ლიტერატორ-პუბლიცისტიც ადამიანია—იმასაც მოუვა გული, ისიც აღელდება, მისი ტემპერამენტიც ცხელდება, უმფრო მალეც ვინემ მდაბიო ხალხისა, მაგრამ საჭიროა მოთმენა, თავის დაჭერა; ლიტერატორს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ის თავის გულის მოსაფხანათ, მოწინააღმდეგის ტალახში ამოსასვრელად კი არ სწერს, არამედ ხალხისათვის, ამისათვის პატივი უნდა სცეს და ანგარიში გაუწიოს მკითხველის გრძნობას, არ უნდა დაუმორჩილოს ის თავის პირადულ განცდას; ტლანქი, მოუხეშავი სიტყვებით არ უნდა მოუშხამოს მკითხველს გრძნობა... პრესა, ეს ერთგვარი სახელმძღვანელოა ხალხისათვის, ამისათვის თითეული ორგანო უნდა სცდილობდეს განამტკიცოს ხალხში პიროვნების პატივისცემა, ზნეობა, სიფაქიზე და სხვა კეთილი მხარეები... ჩვენში კი, სამწუხაროდ, წინააღმდეგს ვამჩნევთ... მეტი წინდახედულობაა საჭირო, რაც უნდა მწვავე იყოს საკამათო საგანი, პოლემიკის დროს საჭიროა აკადემიური ცილოს დაცვა... ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევიგნოთ, შევისწავლოთ ლიტერატურული ეთიკის მნიშვნელობა, საჭიროება.

გრ. საქარიქედელი.

გასართოგი

ფონდისთვის მილიონ ნახევარი.

ვაჟა-ფშაველას ფონდის სასარგებლოდ კასაში დღემდე მილიონ ნახევარი მანეთი შესულა. სიხარულით სიტყვა-კაზმული საზოგადოება მკვდრეთით აღმდგარა და დაუდგენია გამოსცეს „ქალ-ვაშიანი“.

ანდერსენის ზღაპრები

ილია ნაკაშიძე ანდერსენის ზღაპრების შესახებ წაიკითხავს ლექციას, სადაც იმ აზრს გაატარებს, რომ ტოლსტოი მთელი რუსეთის ზნეობრივ-გონებრივი სახიერება არის, ამიტომ უნდა შესდგეს კომისია და გაჭირვებულ აისორებს რაიმე დახმარება აღმოეჩინოს.

სიბრძნე-სიცრუე.

ბ-ნ ილია ნაკაშიძის აზრით როდესაც ორი სახლი იწვის ერთი საკუთარი და მეორე უცხოსი, თავდაპირველად კაცობრიობის სიყვარულის გულისათვის უნდა უცხოს სახლი გადავანარჩუნოთ. ამავე ღრმა ფილოსოფიურად და მეცნიერულად დამტკიცებულ აზრს ეთანხმებიან ჩვენი სოციალისტები და განსაკუთრებით ანარქისტ - სოციალისტ - დემოკრატ - ავტონომისტ ფედერალისტ - სომხისტ-ქართველისტ - ყველა - ფრისტ - არაფრისტი გიგო დიასამიძე.

შეკითხვა და პრემია

„სახალხო ფურცლის“ რედაქციას შეეკითხნენ: როდის გათავდება თევდორე ღლონტის „ომი და ფედერალიზმი?“ „სახალხო ფურცელს“ შეუთვლია: ომის გათავების ნიშნები უკვე სჩანს, მაგრამ თევდორე ღლონტის წერილისა კი რა მოგახსენოთო. ამის გამო შემკითხველებს კერძო თათბირზე დაუდგენიათ: უკეთუ აღმოჩნდა ისეთი მკითხველი, რომელსაც თ. ღლონტის ერთი წერილი მაინც ბოლომდე წაუკითხავს, პრემიად მიეცეს იოსებ იმედაშვილის რჩეულ მოწინავე წერილთა დასურათებული კრებული!

გონივრული საშუალება.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას დაუდგენია: ვინაიდგან საწევრო გადასახადი პირველად თუმანი იყო, შემდეგ სამ მანეთად შევცვალეთ და ბოლოს კი ერთ მანეთად და მაინც წევრების რიცხვმა უფრო იკლო, ვიდრე იმატაო, ამიტომ დღეის შემდეგ თვითონ აძლიონ თვითეულ წევრს ორი მანეთი და საპატიო წევრობის დიპლომიც სახლში მიართვენ. ხოლო რომელი წევრიც კვლავ განაზდება, მომავალ წლებისთვის ავანსიც მისცენ.

სამძიმრის დეპეშები.

ბ-ნ კიტა აბაშიძეს და გიორგი ზდანოვიჩს მილოვისა და ადილხანოვის შეპყრობის გამო „სახალხო ფურცლისთვის“ შემდეგი სამძიმრის დეპეშა გამოუგზავნია: „ეს რა უბედურობა დაატყდა „ჩვენს ტკბილს მეზობლებს“? ვგოდებთ და ვსტირით, რომ სოლოლაკელთა ბანაკში რაღაც ახირებული და მოუნელებელი ჭირი გაჩენილა და კავკასიის ფედერაციის წევრები უმსხვერპლნია! ვიღა უპატრონებს ჩვენ მიერ მიძღვნილს ახალციხის და ბორჩალოს მაზრას? ვაი ჩვენ! ვაი თქვენ! ვაი მათ! მახლას!“

„სახალხო ფურცელმა“ „სიტყვას“ პირით შეუთვალა: მრავალი მწუხარება უნახავს საქართველოს, მაგრამ ყოველად სახიერი და მოწყალე ღმერთი შეგვაძლებინებს ავიტანოთ მომძლავრებულ უბედურობის სუსხი და ჩვენის ცრემლებით ცრემლი შევუშროთ მგლოვიარე და მწუხარებისაგან დადუმებულ სოლოლაკელებს—ჩვენს ისტორიულს იაფეტურ მონათესავე ღვიძლ ძმებს—და მით განვამტკიცოთ ერთა სოლიდარობა, მარადიული მისწრაფება და სოციალიზმი!! მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი „ნარი“ (აქ იგულისხმებს სარქისა კაკაბაძეს) ამ ღვთის რისხვად მოვლინებულ უბედურობაზე ლოგინად ჩავარდნილა. ექიმების სიტყვით ტვინის სიდამპლე (თუ სიდამბლე?) აჰშლია და მილოვიადას პირუთვნელსა და მეცნიერულს ისტორიას ვეღარ დაგვიწერს! ქართველებს ხომ ბედი არ გვწყალობს!! ჩვენსა და თქვენს სანუგეშოდ ერთიღა დაგვრჩენია: ექიმები რენტგენის სხივებით მისი ტვინის მდგომარეობას გადაიღებენ და ჩვენს სურათებიან დამატებაში დავბეჭდავთ, რომ შთამომავლობას არ დაეკარგოს ძვირფასი განძი, როგორც არ დაეკარგა „სახალხოს“ დამატებას მისი ფათრეთი“.

საბერძნეთის მეფის ბიბლიოთეკა

„მე სრულიად თავისუფალი ვარ ჩემს მოქმედებაში—უთქვამს საბერძნეთის მეფეს გერმანელ კორესპონდენტისთვის—მე არ მივდევ კერძოდ ჩემს სარფას ან ინტერესებს და გულზე ხელდადებით შემიძლიან ვსთქვა რომ ჩემი მოქმედება მხოლოდ ჩემის ხალხის კეთილდღეობისკენ არის მიმართული. ომის პირველ დღიდანვე იმ აზრის ვიყავ, რომ საბერძნეთს ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა. ზოგმა ეს ჩვენს სისუსტეს მიაწერა, მაგრამ ამაოდ. უკეთე ჩვენ რაიმე განსაცდელი მოგველის, საბერძნეთი როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება.

მე არა ვგონებ რომ ამ ომმა ბალკანეთის საქმეები სავსებით გამოასწოროს და კიდევ სხვა ომი არ ასტყდეს, ვიდრე სამუდამოდ არ გამოირკვევა რთული ეროვნული საკითხი თვითეულ ბალკანეთის სახელმწიფოსი.

საბერძნეთს როგორც პატარა თავისუფალ სახელმწიფოს, უფლება აქვს თავისი ეროვნული მიზნები განახორციელოს და არა ისეთი რამ არაჩვეულებრივი დაისახოს, რაც რეალ ცხოვრებაში უნიადაგოა. ამ რეალ პოლიტიკას მე დღემდე ვადექ და შემდეგშიაც ამ გზას არ ვუღალატებ.

მე მისაყვედურებდნენ, რომ პარლამენტი დავითხოვე. მე აქ ვმოქმედებდი კონსტიტუციურ დადგენილების თანახმად და ამით აღვასრულე ჩემი მამულიშვილური მოვალეობა. მე ვითვალისწინებდი დღევანდელ მდგომარეობას ბალკანეთში და ისე ვმოქმედებდი.

პროვინციის ქრონიკა

ს. სუფსა.

სუფსის კოოპერატიული დუქნის საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიდის. იშოვება პირველ-აუცილებელი სანოვაგე. ფასები შედარებით სხვა სოფელთან აქ უფრო იაფია. განზრახული აქვთ გახსნან უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი.

დ. კარაკლისი (ერევნის მაზრა).

კარაკლისი ერევნის გუბერნიაში ყველა დაბაზე წინა სდგას. ინტელიგენტთა რიცხვი მრავალია, არსებობს სხვა და სხვა დაწესებულება. ვაჭრების გაუმაძღრობას ბოლო ვერ მოეღო, ამ უკანასკნელ დროს ძალიან საგრძნობლად დააძვირეს სანოვაგე.

ს. აბაშა (სამეგრელო).

აქაურ სკოლის ზედამხედველს და მასწავლებელს მოუვიდათ ჩხუბი, ორივე შეზარხოშებულნი იყვნენ გაშველების შემდეგ ნახეს, რომ ერთმანეთი დაეჭრათ დანებით.

საყულაის მხარე (ქვემო იმერეთი).

ათას უბედურებასთან ერთად ჩვენ სოფლის მცხოვრებთა გაუჩნდათ გადამდები სნეულებანი და მუსრი გავლო ხალხს.

ს. აგიანი (გორის მაზრა).

ბაგრატიონ-მუხრანელის ტყის მცველმა ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დასჭრა გლეხი გ. კაცაშვილი.

ს. სავანლის ტეზერი (გორის მაზრა).

ვიღაც ბოროტ-მომქმედმა გასტეხა ეკლესიის კლიტე მაგრამ ვერ მოასწრო ნივთების წაღება.

დ. გალი (სამურზაყანო).

პ. ჭარაია შუამდგომლობს ქუთაისის გ. ს. გახსნან სკოლები დაბა გალში.

ვანის ქედი (ოზურგეთის მაზრა).

ვანის ქედის მცხოვრებმა სთხოვეს ქუთაისის გუბერნატორს ნება მიეცეთ გახსნას მომხმარებელი საზოგ. სახელად „წინ“.

ს. შილდა (კახეთი).

ადგილობრივ მომხმარე საზოგ. $2^1/_2$ თვის შემოსავალი 651 მანეთს აღემატება.

ს. ხორი.

ხსნიან უმაღლეს პირველდაწყებითი სკოლას. საზოგადოებამ გადადო 4,000 მან.

მუშათა შორის

ბ ა თ ო მ ი.

ბათომის ხელზე მოსამსახურენი და კერძოდ სასტუმროს მოსამსახურენიც არ ფიქრობენ ცხოვრების გაუმჯობესობაზე. იშვიათია მათგანს თუ აინტერესებდეს ჟურნალ-გაზეთები.

ბ ა ქ ო.

ბაქოს სადგურის გადმომტვირთველ მუშათა რიცხვი 140 კაცს აღემატება. მათ შორის ქართველებიც ურევიან დანარჩენი სომხები და თათრები არიან. აქაური მუშები დღევანდელ ცხოვრებას ჩამორჩნენ. მათ შორის ნაკლებათაა გაზეთის მკითხველი. არ იღებენ მონაწილეობას არც ერთ კულტურულ დაწესებულებაში. მათ არ გა-

აჩნიათ კვირა-უქმე დღე, დილის 6 საათიდან ვიდრე საღამოს 7 საათამდე ისინი გამუდმებულათ მუშაობენ, ამ ხნის განმავლობაში არა აქვთ დრო დასვენებისა.

აღსტაფა.

აღსტაფის მუშების პირობები თანდ თან უარესდება. სანოვაგე მეტად გაადვირეს და ხელფასის მომატებას თხოულობენ.

მაჰმადიანთა ცხოვრება

განჯიდან „ენი იღბალს“ ატყობინებენ, რომ ადგილობრივ მაჰმადიან სტუდენტთა ჯგუფმა დააარსა ახალი ისტორიულ ლიტერატურული საზოგადოება „სწავლა“.

— „ენი იღბალს“ ზაქათალიდან ატყობინებენ, მუვლუდის დღეს მეჩითში შეგროვილ ხალხს ნ. კაზიევმა მიმართა მგრძნობიარე სიტყვით და სთხოვა გახსნან ქალთა სკოლა ამ დღის აღსანიშნავად.

— „აჩიგ სოზ“-ს სწერენ ევლახიდან, მაჰმადიანებმა გახსნეს მოზრდილთათვის საღამოს კურსები. განზრახული აქვთ გახსნან აგრეთვე დამხმარე საზოგადოება.

— ბაქოში გარდაიცვალა მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოების ერთგული წევრი უსუფხანოვი.

— „თერდჯიმანს“ სწერენ ს. დერეკოიდან „მუვლუდის დღე“ შეგროვილი 141 მან. გადაეცათ ომში წასულ ჯარის კაცების ოჯახებს.

სომეხთა ცხოვრება

გაზ. „ბაქო“-მ მიიღო გამოქცეულ სომხების გადასაცემად 110 მან.

— სომეხთა კაცთმოყარე საზოგადოებამ ბაქოში გამართა საღამო. მთელი შემოსავალი 1077 მ. საზოგადოებას ხალასი შემოსავალი დარჩა 835 მან-

— 20 იანვარს ბაქოში ნიკიტინის თეატრ-ცირკში ვოსკანიანის დასმა წარმოადგინა მე-44 ჯერ ოპერა „არშინ განალან“

ნარევი

ლოთის აღმოჩენა.

ღვინისა და არყის აკრძალვის შემდეგ, ლოთები ყოველგვარ ხრიკს ხმარობენ, რომ რაიმე საშუალება გამონახონ და დაითვრნენ. ამ ბოლო დროს ასეთი ხერხი ერთ რუს ლოთს კიდეც აღმოუჩენია.

უნახავთ სადგურთან კარგად გამობრუნებული. შეჰკითხებიან ვინ მოგცა არაყიო. გაუხსნია პალტო, ამოუღია დროჟი (ხაში) მოუკმეჩნია და ზედ ლიმონათი დაუყოლებია. უთქვამს: აი შენი სასმელი! რაც გინდა დაუძახე: გინდ არაყი, გინდ ღვინო და გინდ ლუდიო. ბარბაცით განშორებია მაყურებელ საზოგადოებას.

შემოწირულობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1. დეკანოზმა დიმიტრი ნიკოლოზის ძემ ვარდიაშვილმა: ა) ნეკრესელი მღვდელმთავრის ნაბოძები სიგელი მღვდლის სტეფანე ვარდოშვილსა, ბ) პატიების ბარათი, რომელიც უბოძებია სტეფანე მღვდლისათვის ელეფთერ არქიმანდრიტს, გ) ფირნაოზ ბატონიშვილის მხლებელთა გადასახლება რუსეთში (ხელნაწერი პაწია ტანის წიგნი), დ) სძლის პირი და ღვთის მშობლისანი (პაწია ტანის წიგნი ხავერდის ყდაში), ე) ქართული გრამატიკა (ხელნაწერი), ვ) ანდრია სალორის ცხოვრება და მოქალაქეობა (ხელნაწერი), ზ) ორი ფურცელი კურთხევანიდან (ხუცური ხელნაწერი), ც) ძველებური ლექსთა კრებული, ისაკ ვარდიაშვილის გადმოწერილ 1841 წ., თ) ეპისტოლე გიორგი ერისთავისა (ხელნაწერი წიგნი), ი) ტიბიკონი გელათის დედათა მონასტრისა (ხელნაწერი წიგნი), ია) სამადლობელი პარაკლისი ტროფიმე იღუმენიის მიერ 1774 წ. ქ. ყიზლარში გადმოთარგმნილი რუსულიდან, იბ) განმარტება იგავთა სახარებიდან და ცხოვრება დავით და კოსტანტინესი გადმოწერიალია ისაკ ვარდიაშვილის მიერ, იგ) ისაკ ვარდიაშვილისვე გადმოწერილი დაუჯდომელი ყდაში, იდ) სამასეული—სწავლანი წმიდა მამათა, 1797 წ. გადმოწერილი ნიკოლოზ ვაჩნაძის მიერ ყდიანი, იე) სასიამოვნო მოთხრობა მომოსვლისათვის ქერეოსისა და კალლიროიასი იაკინთე ალექსიევისაგან ჩულ წელსა რუსულიდან გადმოთარგმნილი ყდიანი, ივ) გვირგვინი და ასი მოთხრობა, ისაკ ვარდიაშვილის გადმოწერილი 1841 წ., ყდიანი, იზ) მარგალიტიანი ხუცური ხელი ყდიანი, იკ) ნაბეჭდი წიგნი: თამარ მეფესი და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა და ით) ჩახსაკრავის საქსოვი ჩხირები, მაქოები (წყვილი) და ტყავის ფირფიტა.

2. დიმიტრი თომას ძემ ხოშტარიამ: დავითნი, ხუცური, პატარა წიგნი, ყდიანი, გადაწერილია მღვდლის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ხელით დავით ბატონიშვილისათვის.

3. მღვდელმა დავით გიუნაშვილმა (ძველი გავაზიდან) ორი ძირი ჯამისა სახეებიანი (შემომწირველის ვენახში ნაპოვნი). ამასთანავე მღვდელმა დავით გიუნაშვილმავე გადმოსცა საზოგადოებას ძველი გავაზის სასაფლაოზე მიწაში ნაპოვნი: ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ძეწკვი, სამი ზანზალაკი (ერთი ნატეხია) საყურის მსგავსი ბრინჯაოს ნივთი, კბილებიანი პრტყელი რგოლის ნატეხები, 21 ცალი მძივი და სამ ტუჩიანი დოქი.

საზოგადოების საბჭო გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! თქვენს პატივსაცემ გაზეთ „საქართველოს“ მე-8 ნომერში მოთავსებულია „წერილი კახეთიდან“ ბ. თელაველისა, თელავის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის მდგომარეობაზე. წერილი ნამდვილ ცნობებზე არ არის დაფუძნებული. ამისათვის ნება გვიბოძეთ ამა წერილით სამართლე აღვადგინოთ:

1. თელავის ამხანაგობა საშუამავლო ოპერაციებს აწარმოებს დანარჩენ ამხანაგობათათვის. ომიანობისა გამო და ცხოვრების აწეწვ-დაწეწვისა ფასებმა აიწია. ეს ფასების აწევა თელავის ამხანაგობაზე და, მეტადრე მის გამგეობის თავჯდომარე დავ. ლუკაშვილზე, სრულებით არ არის დამოკიდებული. უბრალო მაგალითი: თელ. ამხანაგობამ კავკაზში დაიკვეთა სიმინდი. ფუთი 58 კაპ. ორი კვირის შემდეგ ფასი 65 კ. ავიდა, სამი დღის შემდეგ მეორე დეპეშა მოვიდა: დაუყოვნებლივ ვაგონები გამოგზავნეთ, თორემ ვერც ამ ფასში გამოვგზავნითო. ჩიტის რძის შოვნა უფრო ადვილია, ვინემ ამ დროში დაუყოვნებლივ ვაგონების შოვნა“, ამიტომ ეს სიმინდი იქნებ მეტ ფასში დაგვიჯდეს.

ვაგონები კანტი-კუნტათ მოდის. ერთი ვაგონი ფქვილი ეკატერინოდარიდან 1915 **წლის 2 თებერვალს გამოგზავნილი დღესაც არ მიგვიღია.** 1 გიორგობისთვეს 1915 წლის დაკვეთილ საქონლისთვის ჯერ ვაგონები ვერ გვიშოვია. რასაც ვშოულობთ, იმასაც დიდი წვალებით. რა შუაშია აქ თელავის ამხანაგობა ან მისი მეთაური ლუკაშვილი?

„ბედ ფუთზე 70 კ. გამოართვეს და მით მდიდრებს მისცეს საშუალება ფქვილ-ხორბლის წაღებისაო“—ბრძანებს კორესპონდენტი. ა. ბედ ფუთზე ავიღეთ 70 კ. კი არა, მხოლოდ 50 კ. ბ. ეს ბეც სრულად არ გამოგვირთმევია, გ. შეიძლება ბეის წინააღმდეგნი პრინციპით ჩვენც ვიყვნეთ, მაგრამ უბეობა არ შეიძლება ჯერ ერთი იმიტომ, რომ გარანტიას გვაძლევს საქონლის წაღებისას და მეორეც წვრილ-კრედიტთა ინსპექცია პირდაპირ გვიკრძალავს უბეოდ საქონლის გამოწერას.

2. შაბიამან-გოგირდის უსამართლოდ განაწილებაზე ლაპარაკი ზედმეტია. შარშან თელავის ამხანაგობას ძველი შაბიამანი ჰქონდა დარჩენილი და ახლად ნაყიდთან ერთად ფუთი 8 მ. 50 კ. გაჰყიდა. პირველ მოწამვლისთვის ეს შაბიამანი საკამარისი იყო და უარი არავისთვის უთქვამთ. მეორე მოწამვლისთვის ესე 15 მაისს ახლად ვიყიდეთ ფუთი 24 მან. და ძველ დარჩენილთან შერევით ფუთი 20 მანეთათ იყიდებოდა. აქ ერთი ამბავი მოხდა. ბევრ წევრს ვენახი გაუფუჭდა და მეორე მესამე მოწამვლისთვის შაბიამანი აღარ წაიღო. ეს მოვლენა გაიზარდა. ამხანაგობას დიდიძალი შაბიამანი რჩებოდა გაუყიდავი ფუთი 24 მ. ნაყიდი. რადგან საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ მომავალ წელს შაბიამანი ესე ძვირი არ იქნებოდა,—ეს შაბიამანი გარეშე პირებზედაც გავყიდეთ. თვით საუფლისწულო მამულს რამდენიმე ათი ფუთი მივეცით. რომ უარი არავისთვის გვითქვამს, ეს იქიდანაც სჩანს, რომ უკანასკნელი 5 ფუთი 1915 წლის გიორგობისთვეში გაიყიდა. მანამდის გვქონდა. რომ არ გაგვეყიდა, რამდენიმე ათას მანეთს ვიზარალებდით, რადგან წლევანდელი შაბიამანი ბევრით იაფი დაჯდა.

3. თელავის ამხანაგობა მუდამ ცდილობს თავისს ამხანაგებს ემსახუროს. წელს იმდენი ფქვილი და ხორბალი გვქონდა, რომ უარი არცერთისთვის არ გვითქვამს. მოვიდეს და სთქვას, თუ გინდ ერთმა, რომ თელავის ამხანაგობამ ხორბალ-ფქვილი არ მისცა. ვინც დროზე მოვიდა, ყველას ნება ჰქონდა უბეოდ 10 ფუთი მაინც წაეღო.

თელავის ამხანაგობას 1915 წლის გასულს 2200-ზე მეტი წევრი ჰყავდა, 1915 წელს მისი თანხების საერთო ბრუნვა სამ მილიონ ნახევარ მანეთზე მეტს უდრის, წმინდა მოგება 50 ათას მანეთამდე აქვს და ამ წლის განმავლობაში—650.000 მანეთის საქონელი მოუტანა ხალხს.

ჩვენი წევრების საერთო რიცხვის 90 პროც. გლეხობაა. თუ რამე ნაკლი აქვს თელავის ამხანაგობას (და ნაკლი ვის არა აქვს?) ზედმიწევნით ფაქტებით აღნიშნონ.

თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამგეობის მხრივ **ივ. კარბელაშვილი.**

საბჭოს მხრივ **სოსო ლომიძე.**

ერთი სკოლა და ერთი უნივერსიტეტი მთელი საქართველოსათვის

(ი. პ. როსტომაშვილის მოხსენებიდან*)

არის საშუალება—ისე ვასწავლოთ ჩვენს შვილებსა და ხალხსა, როგორც მოითხოვს ამას ჩვენი სარგებლობა და პედაგოგია. მე მოგახსენებთ ეგრედწოდებულ **შინა—სკოლებისა და შინა — უნივერსიტეტების** მოწყობაზედ ყველგან მთელ საქართველოში.

შინა-სკოლებში არავის ვატანთ ძალას—ისწავლეთო! აქ სწავლობენ **თავისთავად** სწავლობენ ყველა ვინც ბედმა სკოლის გარედ დასტოვა!..

შინა-სკოლის მოსწავლეებში ძალაუნებურად ვითარდება თვითმოქმედი და შეგნებული საქმიანი უნარი გონებრივი შრომისა! ჩვენ ვაგზავნით მოსწავლეს საგანგებოდ მისთვის შედგენილს, თუ შერჩეულს წიგნებსა და თან ვაძლევთ მას მთელს რიგს ამოცანებისას და ვარჯიშობებისას, რომლებიც მან თითონ უნდა შეასრულოს. ასეთი მეცადინეობა მალე შეაჩვევს გონებრივ შრომასა და ასწავლის წიგნის გამოყენება-მოხმარებას.

უმთავრესი განსხვავება შინა-სკოლისა და ჩვეულებრივ სკოლას შორის ის არის, რომ შინა-სკოლა სრულიად მოკლებულია ჩვეულებრივი სკოლის ძალმომრეობას, იგი ყოვლად თავისუფალი დაწესებულებაა და საშუალებაც აქვს იყოს ნამდვილი ეროვნული ტაძარი განათლებისა.

ვის ვეძახით შინა-სკოლისა და შინა-უნივერსიტეტის მოსწავლეს?—მათ, ვინც გამოგვეხმაურება ჩვენ, ვინც კი გადასწყვეტს დაადგეს ჩვენ მიერ ნარჩევ სწავლა-აღზრდის გზას.

თუ ვისმეს რამე უსწავლია, მომეტებულად შინ უსწავლია. მხოლოდ საჭიროა კარგად მოწყობა ამ შინასწავლისა, საჭიროა მხოლოდ ხელმძღვანელობა. როცა მოსწავლე სკოლიდან სახლში ბრუნდება და აქ უმასწავლებლოდ განაგრძობს სწავლას სახელმძღვანელო წიგნებით, ესეც **შინასწავლაა, შინა-სკოლაა**! როცა სტუდენტი, იმის მაგივრად, რომ პირადად დაესწროს პროფესორთა ლექციებს, **შინა ზის** და ბეჯითად კითხულობს და არკვევს მათ დაბეჭდილ შრომებს (ასე იქცევა სამი მეოთხედი სტუდენტობისა), **ის სწავლობს შინა, სწავლობს შინა-უნივერსიტეტში!..**

საქმიანმა ევროპა-ამერიკამ დიდი ხანია სავსებით დააფასა შინა-სწავლის ასეთი უაღრესობა და თუმცა იქ სწავლაც სავალდებულოა და სკოლებიც მრავალია, ესენი მაინც ათასობით აწყობენ შინა-სკოლებს და ყოველ წლივ ათასობითვე უშვებენ ამ გზით სწავლა-დამთავრებულებს არა მარტო პირველ-დაწყებითი და საშუალო სკოლებისა, არამედ უმაღლეს და სპეციალ სკოლების საგნებიდანაც, უშვებენ ყოვლად მომზადებულ მშრომელებს და მოღვაწეებს—მასწავლებლებს, ტეხნიკებს, მეურნეებს, ბუღგალტერებს, იურისტებს და სხვ.

საქართველოშიაც ათასობით და ათი ათასობით მოიპოვება ორივე სქესის ახალგაზდა თუ ხნიერი, რომელთაც გულითა ჰსურთ სწავლა, მაგრამ ვერ კი უსწავლიათ და გულში იკლავენ სწავლის წყურვილს. ასეთ გარემოებაში მყოფთათვის საუკეთესო საშუალებაა შინა-სკოლებისა და შინა-უნივერსიტეტების მოწყობა.

შინა-სკოლებში და შინა-უნივერსიტეტებში სწავლის საფუძვლად უნდა დაიდვას **წიგნი და საზოგადოთ ბეჭდვითი სიტყვა.** უდიდესი ადგილი აქ უნდა დაეთმოს ბეჭდვითი სიტყვის იმ ნაწილს, რომელსაც პოპულიარული ლიტერატურა ეწოდება და რომელიც ისეთი ადვილ-გასაგები ენით იწერება, რომ ყველა წამკითხველს შეუძლიან მისი გაგება-შესწავლა.

როგორ იქნება მოწყობილი შინა-სკოლები და შინა-უნივერსიტეტები?

1) გამგეობა და ხელმძღვანელობა შინა-სკოლებისა და შინა-უნივერსიტეტებისა იქნება საგანგებოდ ამისათვის შემდგარ ავტონომიურ და თვითშემასებელ სარედაქციო და საგამომცემლო წრის ხელში; 2) სწავლა ყველა საგნებისა იქნება ქართულად და მხოლოდ ცალკე იქნება მოწყობილი კურსები რუსული და სხვა ენებისა; 3) შინა-სკოლების სწავლა იქნება უმთავრესად ენციკლოპედიური, ე. ი. შინა-სკოლის ყოველმა მოსწავლემ პირველ სამ-ოთხ წელიწადს, უნდა გაიაროს ენციკლოპედიური ნარკვევი იმ ცოდნათა, რომელთ ცოდნა საზოგადოთ სავალდებულოა ყოველი განათლებული კაცისათვის. 4) შინა-უნივერსიტეტის სწავლა იქნება უმთავრესად ლიტერატურული, ე. ი. დამყარებული იქნება სასწავლო საგნების ლიტერატურის სისტემატიურად შესწავლაზედ. 5) შინა-უნივერსიტეტის სასწავლო საგნები იქნება: 1) მათემათიკური მეცნიერებანი 2) საფიზიკო-საქიმიო მეცნიერებანი; 3) სოციოლოგიური მეცნიერებანი; 4) ფილოსოფიური მეცნიერებანი; 5) საზოგადოებრივი-იურიდიული მეცნიერებანი; 6) ისტორია-გეოგრაფიული მეცნიერებანი და 7) ისტორია ლიტერატურათა და სხვ.

*) წაკითხულ იყო ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების კრებაზედ 21 ნოემბერს 1915 წ. ვბეჭდავთ შემოკლებით. **რედაქცია.**

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეშვიდე წელიწადი

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა **26** წლის ნომრები და რედაქციის გამომცემული საყმაწვილო წიგნები.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

Открыта подписка на 1916 г.

(Годъ изданія восьмой)

На ежедневную общественно-политич. газету

„ЗАКАВКАЗСКАЯ РѢЧЬ“

Подписная цѣна на годъ гор. 8 р. ½ г. 5 р. 3 м. 2-75. 1 м. 1 р.
,, ,, ,, Иног. 10 р. ,, 6 р. ,, 3 р. ,, 1 р.

Подписка принимается съ 1-го по 1-ое число каждаго мѣсяца.

Плата за объявленія впереди текста 15 коп., позади—10 к., зрѣлищъ впереди текста—20 к., Траурныя объявленія—5 р., послѣ 3-хъ час. въ типографіи «Сорапань» [Мадатовскій остр.) на 1 р. дороже. Объявленія внѣ предѣла Кавказа впереди текста 24 к., позади—12 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, Дворцовая, 6.

Редакторъ **Кн. К. П. Тумановъ.**

Издатель **Э. Д. Горделадзе.**

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. **საათით**)

თბილისიდან გადის:

			№	ს.	წ.	
ბათომისკენ	სამგ.	მ.	9	8.53		საღ.
„	საფ.	„	3	9.58		დილ.
ხაშურისკენ	სამგ.	„	19-20	3.20		ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი	„	4	10.20		საღ.
„	ჩქარი	„	6	12.8		დღის
„	სამგ.	„	8	11.13		ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„	4-3	11.13		ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ.	მ.	4	9.30		საღ.
„	სამგ.	„	10	9.51		დილ.
ბაქოდან	საფ.	„	3	9.3		დილ.
„	ჩქარი	„	5	7.41		საღ.
„	სამგ.	„	7	1.42		ნაშ.
ხაშურიდან	სამგ.	„	19-20	7.25		დილ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„	4-3	8.8		დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	. .	8 ს.	58	წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9	„	23	„	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9	„	43	„	„
ვაზიანიდან	. .	10	„ 42	„	„
იორიდან	. . .	11	„ 35	„	„
საგარეჯოდან	. .	12	„ 17	„	„
ბადიაურიდან	. .	1	„ 15		დღის
მელაანიდან	. . .	2	„ 37	„	„
გურჯაანიდან	. .	4	„ 08	„	„
ვაჩნაძიანიდან	. .	4	„ 58	„	„
თელავში მიდის	.	5	„ 35	„	„
გურჯაანიდან	. .	4	„ 18	„	„
კარდენახიდან	. .	4	„ 50	„	„
წნორის-წყალ. მიდის		5	„ 15	„	„

თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ

თელავიდან	. . .	8 ს.	58	წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	. .	9	„ 45	„	„
გურჯაანიდან	. .	10	„ 46	„	„
მელაანიდან	. .	12	„ 02	„	„
ბადიაურიდან	. .	1	„ 13	„	დღის
საგარეჯოდან	. .	2	„ 15	„	„
იორიდან	. . .	2	„ 53	„	„
ვაზიანიდან	. . .	3	„ 40	„	„
ნავთლუღ-კახეთ.	. .	4	„ 31	„	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.		4	„ 46	„	„
თბილისში მიდის	.	5	„ 01	„	„
წნორის-წყლიდან	.	9 ს.	16	წ.	დილ.
კარდანახიდან	. .	9	„ 46	„	„
გურჯაანში მოდის		10	„ 16	„	„

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთოთხმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 **წიგნი** „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომიხაძესთან. **ოზურგეთში** ტ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი თ-დ **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ეკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განაყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. **მაილოვის-შვილ**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.